№ 71 11 მკათათვე, ქვირა 1866—1876 11 მკათათვე, ქვირა № 71

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, Артем ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულ-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება
ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ამ წლის 1 ივლისიდამ ვიდრე მომავალი 1877 წლის 1 იანვრამდი

ფასი ნახევარ წლისა— — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა— — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლიარები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგიგზავნოს რედაქციაში.

საქართველო

თფილისის სემინარიის წესები

როდესაც ერთხელ თქმულს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია იმან, ვისთვისაც ის იყო ნათქვამი, მაშინ მთქმელს შეუძლიან და ვალდებუდებაცა აქვს, რომ ორჯერ, ათჯერ, ოცჯერ გაიმეოროს თავის სიტყვა, სანამ მსმენელნი კარგათ არ გაიგონებენ.

იმ წესებზე, ანუ უკეთესითქვათ— იმ უწესოებებზე, რომელნიც ჰსუფევენ ჩვენს სასულიერო სემინარიაში და ახლანდელ იმის მმართველობისა და რექტორის, განსაკუთრებით ინსპექტორის მოქმედებაზე, ორჯერ-სამჯერ იყო ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა ნათქვამი. მაგრამ დღემდი ჩვენს სიტყვას მხოლოთ ის შედეგი ჰქონდა, რომ, ამავე სემინარიის მართველობის განკარგულებით, თფილისისა და ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლებში ფიცხელი მიწერილობა გაიგზავნა, რომ, „რადგან „დროება“ არა-პატრიოტული (!) და ტვინის გამრყენელი გაზეთი არისო, ამის გამო არც მასწავლებლებმა და განსაკუთრებით არც შაგირდებმა არ გაბედონ ამ გაზეთის კითხვაო.“ ამ უკანასკნელ გარემოებაზე უფრო დაწვრილებით შეიტყობს მკითხველი მაშინ, როდესაც სასამართლოდინ მიაღწევს საქმე, რადგან ჩვენ განზრახვა გვაქვს, რომ ცილის-წამებისათვის ვუჩივლოთ სემინარიის მმართველობას.

ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი წესები ისევ ძველებურის ძალითა და სიმხნევით მოქმედებენ ამ სემინარიაში; ისევ ძველებურად ჰყრიან შაგირდებს მხოლოთ იმისთვის, რომ რომლისამე წიგნის წაკითხვაზე და განსაკუთრებით ქართული წიგნისა ან გაზეთის წაკითხვაზე რო წაესწრება შაგირდს მასწავლებელი ან ინსპექტორი; ისევ ძველებურად გახშირებულია შპიონობა, ბეზღლობა; ისევ ძველებურად სდევნიან ცოტაც არის ცოცხალ, მკვირცხლ შაგირდებსა და სხვ.

ჩვენ გვაქვს ხელში ერთი ისეთი საბუთი, რომელიც ყველაზე უკეთ გვიმტკიცებს ამ სიტყვების სინამდვილეს; და ყველაფერს, რასაც ჩვენ აქ ვამბობთ, ოფიციალურის საბუთებით დავამტკიცებთ. აი რაშია საქმე.

გასული მაისის 10-ს ერთი მესამე კლასის შაგირდი, სახელად ნიკო შაელიევი გამოაგდეს სემინარიიდამ. მმართველობას და განსაკუთრებით ინსპექტორს როგორღაც არ მოსწონდა თურმე ეს შაგირდი და მიზეზს უძებნიდენ, რომ თავიდამ მოეშორებინათ; მიზეზიც მონახეს: ერთხელ სწავლის დროს ყმაწვილს გარეთ გასვლა ეთხოვნა მასწავლებლისთვის; ამას ნება არ მიეცა. შაგირდმა ვერ მოითმინა და გავიდა; მით უფრო გაბედა ეს, რომ სხვებიც ძალიან ხშირად დაუკითხავად გადიოდნენ ხოლმე გარეთაო, როცა რაიმე დაჭირება ექნებოდათო.

აი მხოლოდ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ეს შაელიევი გამოაგდეს სემინარიიდამ.

მოწმობაში რომელიც ამ ყმაწვილს მისცეს, სწერია, რომ ნიკო შაელიევი „თავის ნებით გამოდის სასწავლებლიდამაო“; მაგრამ ეს მართალი არ არის; ემუქრებოდნენ თურმე, რომ, თუ თხოვნა არ შემოიტანე ახლავე, რომ შენის ნებით გსურს გამოსვლა, მაშინ ჩვენ გამოგაგდებთ და ისეთს მოწმობასაც მოგცემთო, რომ შემდეგ არსად არ შეგეძლოს შესვლა არც სწავლისთვის, არც სამსახურში, არც მღვდლათო და სხვ.

სემინარიიდამ მიღებულს ოფიციალურს და ბეჭედ-დასმულს მოწმობაში ნაჩვენებია, რომ შაგირდს ნ. შაელევს „ძალიან კარგი“ ყოფაქცევა აქვსო. სწავლის თაობაზე ამავე მოწმობაში მოხსენებულია შემდეგი: ნ. შაელიევი სამღვთო წერილის საგანს სწავლობდა კარგათ, მეტყველებას— კარგათ, ისტორიას—კარგათ, ალგებრას—გვარიანად, ლიტერატურას—კარგათ, მსოფლიო ისტორიას—კარგათ, გეომეტრიას—კარგათ, ლათინურსა და ფრანცუზულს ენებს—კარგათ.

ახლა წაიკითხეთ ეს წიგნი სემინარიის ინსპექტორის უფ. ი. ქუსჩინსკისა, რომელიც იმან ამ გამოგდებულ შაგირდის ძმას ბერს მ. იოანნე შაელიევს მისწერა ამ ყმაწვილის გამოგდების თაობაზე. სიტყვა-სიტყვით ეთარგმნით ამ წიგნს:

„თფილისი, 30 ივნისს 1876

„დიდათ პატივცემულო

„მ. იერომონახო იოანე!

„თქვენმა ძმამ ნიკომ მთხოვა მე მოგწეროთ მიზეზები ანუ გარემოებანი, რომლის გამოც ის გამორიცხული იყო სემინარიიდამ.

„ნიკ. შაელიევი სუსტი ნიჭის ყმაწვილი და საკმაოთ არ არის გონებით გახსნილი; ამის გამო ვერ ასწრობდა იმდენათ სწავლაში წინ წასვლას, რომ მეოთხე კლასში გადასულიყო ან ამ მომავალი 1 ივლისიდამ სახელმწიფო ხარჯზე დარჩენილიყო.

„აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმის გამოგდებისა სემინარიიდამ.

„რაიცა შეეხება იმის ზოგიერთ ზნეობით შეცდომებს, ამისათვის იმან ჯეროვანი დასჯა მიიღო და არ შეიძლება, რომ ეს ოჯახის განსამართლების საგნად შეიქნეს.

„ამის გამო გთხოვთ, ისე უყუროთ ამ ყმაწვილს, როგორც ძმას, რომლისთვისაც თქვენის მხრით დახმარება საჭიროა.

„მე მგონია, რომ ნ. შაელიევს შეუძლიან იქმნეს მშვენიერი ოჯახის კაცი და სამაგალითო მღვდელი. მე მგონია, რომ მღვდლობის ხარისხის მიღება იმას მხოლოთ თქვენის შემწეობით შეუძლიან, თუ დაგდებთ იმას.

„თქვენი და სხვ.... ივანე ქუსჩინსკი“

წაიკითხეთ? ახლა შეადარეთ ეს წიგნი იმ ზემო-მოყვანილ მოწმობასთან! როგორ მოგწონთ სემინარიის მმართველობისა და უფ. ინსპექტორის მოქმედება და ლოღიკა? ბამოაგდეს როგორც არა-საიმედო ყმაწვილი; მოწმობას აძლევენ, რომ ძალიან კარგის ყოფაქცევისა არისო, ამასვე ამტკიცებს თვითონ ინსპექტორიც. მოწმობა გვიჩვენებს, რომ ყველა საგნებში შაგირდი კარგათ სწავლობდა, უფ. ქუსჩინსკის წიგნი კი უხსნის გამოგდებული ყმაწვილის ძმას, რომ თქვენს ძმას სწავლა არ შეეძლო, ნიჭი არა აქვსო და იმიტომ გამოვაგდეთო! მოწმობაში სწერია, რომ შაგირდი ნ. შაელიევი თავის თხოვნით და ნებით გამოდის სემინარიიდამაო და ქუსჩინსკის წიგნი კი გვეუბნება, რომ ჩვენ გამოვაგდეთო! ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ მიღებულს მოწმობაში სწერია, რომ შაგირდი ნ. შაელიევი ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი არისო, და ქუსჩინსკი კი გვიმტკიცებს, ისე უნიჭოაო, რომ, სემინარიის სწავლის მიღება არ შეუძლიანო და სხ. და სხვ.

რასაც ჩვენ აქ ვამბობთ, ყველაფრის საბუთი ხელში გვაქვს; ხელში გვაქვს ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა, მოწმობა თფილისის სასულიერო სემინარიისა და აგრეთვე საკუთარის ხელით დაწერილი წიგნი უფ. ინსპექტორის ქუსჩინსკისა.

აი ამისთანა წესებია ჩვენს ერთადერთს თფილისის სემინარიაში, რომლიდამაც უნდა გამოდიოდნენ ჩვენს ხალხთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომნი სამღვდელო პირნი, საიდამაც გამოდიან სულიერნი მამანი, ხალხის კეთილი მაგალითის მაჩვენებელნი და დამრიგენი!

როგორ მაგალითს უნდა წაბაძონ იმათ შკოლის სკამიდამვე? როგორი უფროსებისაგან უნდა ისწავლონ იმათ ზნეობა? როგორი გაელენა უნდა ჰქონდეს ამისთანა მასწავლებლებს თავის ნორჩ შაგირდებზე?

ს. ბ.

დღიური

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ტრაპიზონში ამ ჟამად დიდი მღელვარება არის ხალხშიო; ოსმალები ისეთნაირად არიან ქრისტიანებზე გაბრაზებულიო, რომ მზათ არიან სულობით ამოსწყვიტონ ისინი.

იმ კორრესპონდენციიდამ, რომელიც გუშინ მოგვეიდა ჩვენ ოსმალოს საქართველოდამ და რომელიც შემდგომ ნომერში იქნება დაბეჭდილი, თქვენ დარწმუნდებით, რომ იქაური ქრისტიანებიც (ქართველები და სომხები) უარესს მდგომარეობაში არიან.

ბასაკვირველია: თითქო განგებ ცდილობს ოსმალოს მმართებლობა, რომ ყველა თავის ქრისტიანი ხალხები მოთმინებიდამ გამოიყვანოს და აიჯანყოს....

***

ყველა სომხის მღვდლებს სომხების პატრიარქისა და ეჩმიაძინის სინოდისაგან წინადადება მოუვიდათ, რომ თავიანთ სამრეველოში ხელის-მოწერა გამართონ და ეცადონ, რომ ფული მოაგროვონ იმ ეზლარის სომეხთ სასარგებლოთ, რომელთაც მაისის ყინვებმა ასე გაუფუჭა ვენახები და ამდენი აზარალეთ.

რასაკვირველია, ეს კეთილი საქმეა, კაცთ-მოყვარული განკარგულებაა, მაგრამ ამ სახით ჩვენში როგორლაც ვერ გროვდება ბლომად ფულები და ამ შეთხვევაში ასე ხელის-მოწერით მოგროვილი ფულები ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბევრს ვერას უშველის ეზლარის ვენახისა და ბალის პატრონებს.

ჩვენ არ შეგვიტყვია ჯერ, გაარიგა რამე თუ არა იმ დეპუტაციამ, რომელიც ‘ბიზლარის მცხოვრებლებისაგან გამოგზავნილი იყო აქ, კავკასიის უმაღლესი მმართებლობის სათხოვნელად, რომ, რამდენიმე წლის ვადით, იმათ ხაზინამ 600,000 მანეთი ასესხონ.

***

ჩვენს ქალაქში გავრცელდა ამას წინათ ხმა, რომ კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსი, სენატორი ძლუშინი გაქუდდეს ვლადიკავკასის სტანციაზედაო, რაღაც პორტფელი მოჰპარესო და სხ. ეს ხმა მხოლოთ სანახევროდ გამართლდა: გაზ. „კავკაზში“ გამოცხადებულია, რომ როსტოვო-ვლადიკავკასის რკინის გზის ვაგონში სენატორს ძლუშინს მოჰპარესო: სამოქალაქო მმართველობის უფროსის მიწერილობა ჩინოვნიკის ‘ედრინსკისადმი და აგრეთვე თვითონ უ. ძლუშინის სახელობაზე მიცემული პადაროჟნაო.

***

რაჭიდამ გვწერენ, რომ, აქაური უეზდის უფროსის წინადადებით, სოფლის საზოგადოებებში ახალ მოხელეთა არჩევა იყოვო, და ამ დროს ერთს საზოგადოებაში, შეგროვილ ხალხს, სხვათა შორის, უფ. რაჭის უეზდის ნაჩალნიკმა უთხოაო; „მე მინდა, რომ მამასახლისად აირჩიოთ თქვენ მარჯვე, ცოცხალი და მოხერხებული კაცი. თუ ახლანდელ მამასახლისს აირჩევთ ისევ, მე არ დაგიწუნებთ.“ ამის შემდეგ ხალხმა ერთხმად დაიყვირა თურმე: „ბახლდეს, ბატონო, ისევ ძველი მამასახლისი!“ და ამნაირად ხალხმა ამოირჩია მამასახლისიო.

***

ჩვენ მოგვივიდა ‘ზურგეთიდამ წერილი, რომლის ავტორი ამ პატარა ქალაქში კარტის თამაშის გახშირებას უჩივის. საკვირველი არ გავაო ისე, რომ რომელსამე სახლში არ მოგროვდეს აქაური „მაღალი“ საზოგადოების ქალები და კაცები კარტის სათამაშოთაო და არის ერთი განუწყვეტელი „მარჯვნივ და მარცხნივ“ ქალალდის შლაო.

ძალებმა და უსაქმო მემამულეებმა, რამდენიც ერჩიოსთ, იმდენი ითამაშონ, თუ ესიამოვნებათ და სხვა საქმე და დროს-გატარება ვერ მოუხერხებიათო. მაგრამ უბედირება ეს არისო, რომ ამ კარტის თამაშს ისეთი პირებიც გადაჰყვენენ, რომელნიც საზოგადოების საამსახურის ვალდებულნი არიან და ამის გამო ჩვენ საქმეებს ბევრი დაბრკოლება ეძლევაო...

***

‘ეული სანახავიაო ამ ჟამად ქალაქი ‘ოთი, ასე გვწერს ჩვენ იქაური კორრესპონდენტი. ‘ეჩები ისე გაფუჭებულია, რომ ფაეტონებით სიარული საშიშარია და როცა კი წვიმა მოვა, გამბედავი კაცი უნდა იყოსო, რომ ღამით ქუჩაში გაიაროს და მუხლამდინ მაინც არ ჩაიფლასო. ‘ეარნები მხოლოთ პოლიციასთან ანთიაო, დანარჩენ ქუჩებში კი სულ ცარიელი თუჯის სვეტები დგანან. ამ უკანასკნელ დღეებში, პოლიციის განკარგულებით, აქ თითქმის ყოველ ქუჩაში გატენილი თოფით დგანან კაცები და სადაც ძაღლებს ნახვენ, ჰხოცავენო. ეს ახირებული გარემოება, უეჭველია, უუბედურებოთ არ გათავდება.

***

მოგვყავს ახალი სომხური ჟურნალის პირველი ნომრის შინაარსი, რომელიც წასულ ნომერში, უადგილობის გამო, არ იყო დაბეჭდილი:

I. „დონ-ქარლოსი,“ თხზ. შილლერისა. თარგ. ‘. ‘არხუდარიანცისა. II. „ქარპეტ არქიეპესკოპოსი,“ ცხოვრების აღწერა, ა. ‘ელამიანცისა. III. „ჯუზეპპე მაძინი:“ თხზ. ლ. ასსინგისა. IV. „იმედი,“ ლექსი ‘არხუდარიანცისა. V. ‘რანკლინის ახალგაზდობა,“ ლექცია ედ. ლაბულესი. VI. „პედაგოგიის კანონები,“ ჰერბარტის თხზულებიდამ ს. მანდენიანცისა. VII. „სპარსეთი.“ მელიქ ‘ადესი. VIII. „ლა რაბიატა,“ მოთხრობა პაულ ჰეიზისი, თარგ. ‘. ‘არხუდარიანცისა. IX. თეატრალური მოგონება— ‘. ‘ინიშიანისა. X. ‘ერდუჭი, მოთხრობა სრბუჭი ‘ერიციანცისა. XI. ‘ერი ლექსი მიუელერისა და ‘ლანდის, თარგ. ‘. ‘არხუდარიანცისა: XII. სომხების უფლება ‘ასმალეთში და მათი კონსტიტუცია. ისტორიული მიმოხილვა—ა. ‘ერიციანცისა. XIII. ‘ევროპის ეაჭრობა ‘ილიკიასთანა—ს. პალასანიანცისა: XIV. სომხის ერი და მითი ეკლესია. XV. რამდენიმე წინა-დადება. XVI. ‘ერილი ახალციხიდგან. XVII. ‘არეულობა ‘ასმალეთში. XVIII. ნუბარფაშა და ‘ეგვიპტე—თხზ. ‘ლეზინგერისა. XIX. M. Міансаровъ. Bibliographia Caucasica et Transcaucasica. XX. ‘ოფჰან — იაკობ ‘ლრიხ. თარგ. ‘ალანთარიანისა. XXI. ‘ანცხადებანი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 1 ივლისს. 15 დღე იქნება, რაც ქობულეთს ჩავედი საქმისთვის, და ჩამოვხტი კაიმაკამის ხაჯი-ხუსეინ-ბეგის თავდგირიძის სახლში. ‘იკითხე კაიმაკამი; მითხრეს, ძიავ, ოქუმეთშიაო (სასამართლოში). წავიყვანე ბიჭი და შემიყვანა ოქუმეთში.

‘ქუმეთი წარმოადგენს ორ ეტაჟიან სახლს, მარჯვნით და მარცხნით ოთახები აქვს; ერთს მათგანში ყადი ეფენდი (მოსამართლე) სდგას, მეორეში მისი მწერლები; შუაზედ ზალა, აქეთ-იქით ორი გამსტეენი ტახტი და პოლიც მოგებულია. სამხრეთის მხარეს თავში ზის კაიმაკამი; შორი-ახლოს უზის სამი მეჯლიში (მოსამართლის თანაშემწენი). დაბლა ეტაჟში არიან ტუსაღები.

ჩემი ჩასვლა იქ პირველი იყო. თავი დაუკარი. ‘ინაობა მკითხეს და დაბრძანდით. ამ დროს მოიტანეს ჩითის სუფრა, გაშალეს პოლზედ, ზედ დასდგეს ხის ოთხფეხი ნახევარი არშინი სიმაღლით, ზედ დაადგეს ვერცხლის მრგვალი ფოდნოსივით; რვა კაცს შეეძლო შეჭოჯდომა. ამაზედ ირგვლივ იყო შემომწკრეული პური და მჭადი. ის ხუთი კაცი შემოჯდა და მეექვსე მე ვიყავი. პირველად კაიმაკამმა ჩაჰყო ხელი, მერმეთ ყადმა და ჩვენც; შემდგომ ორ-ორი ლუკმის ამოღებისა ეს აიღეს და მეორე დასდგეს; ყოველთვის პირველად უფროს კაცს უნდა ჩაეყო ხელი და მერმე სხვებს; ასრე 12 ხელი სხვა-და-სხვა საჭმელი იყო; ყველას თითო პირსახოცი მუხლზედ გვეფარა. რა ვისადილეთ, ავდექით, ეს პირსახოცები თან აიღეთ და ხელის დაბანის შემდგომ გამოგვართვეს.

საღამოს კაიმაკამმა თავის სახლში წამიყვანა.

‘ქვსი დღე დავრჩი მათს სახლში. ‘ურსუნ-ბეგმა დიდი პატივი მცა, როგორც უცხო კაცს ეკადრებოდა; უნდოდა არ მოვეწყინე, დროს მატარებინებდა, სოფლათაც წამიყვანა, სადაც ჯარები იყო ჩაბარგებული.

ჩვენი მისვლის დღეს ‘ოფან-ბეგს ყრილობა ჰქონდა; იმ სოფლის აღა კაცებს პირობა დაადებინა, რომ ვინც ფირალები იყენენ, მოეყვანათ და სანამ არ მიიყვანდნენ, მცხოვრებს ყანა არ ემუშავათ, არც სადმე წასულიყენენ და არც იარაღი აეღოთ.

მეშვიდე დღეს, სადილის დროს, ერთი ბიჭი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ფაშა გიძახისო. წავედით და მივედით, ალი-ფაშის ‘ავდგირიძის სახლში, რომელიცა არის ახალს პლანზედ გაკეთებული ორ ეტაჟიანი ქვის შენობა, დიდი ზალა შესაფერის ოთახებით და ყველანი მოგებული საკმაო მებილით. მას ჰყავდა სტუმრად ‘ტრაპიზონიდამ მოსული მირიალ ჯარების უფროსი და სხვა აფიცრები. ‘აშალეს სტოლი, ევროპიულად შემოვსხედით სკამებით, მჭადი და პური ყველას თავ-თავის ულუფა გვეწყო წინ; შეჭამადი იქაც ერთის ვერცხლის ჭურჭლით მოიტანეს; პირველ ფაშამ ჩაყო ხელი, მერმეთ მირიალამა და სხვებმა; იქ მოიტანეს 15 სხვა-და-სხვა მშვენიერი ტკბილი საჭმელები, უკასკნელი ფლავი და შარბათი ყავის მოყოლებით. მერიქიფე თავს გვადგა და დიდი ვერცხლის დოქით ეჭირა წყალი და სტაქანი; როცა შეხედავდი, დაგისხამდა.

შემდეგ ისევ ოქუმეთში წამოვედით. ვნახეთ 70 კაცი ტუსაღები მიყვანილი წყალზედ, ზოგნი თავს იბანდნენ, ზოგი ხელ-ფეხს და ზოგი ამბობდა, რომ, „ძიავ, ჩვენ ეგება დანაშაული ვიყოთ, მარა მემედ-აღა ‘იორგაძეს და ‘ურსუნ ‘აირახტარს ‘ილოსანი შვილებს რა დანაშაული აქვთ, მის ღმერი კაცს არ გაუგონია მათი ცუდკაცობა და რას ამსებენ, ჯარები რომ ჩაუყენეს ოჯახში და სდევენ დასაჭერად?“ ერთს ჩემს ნაცნობს ჩაუშს (ურიადნიკს) ეკითხე: — რა კაცები არიან ‘იორგაძე და ‘ილოსანი თქო? მითხრა: ისინი არიან შთამომავლობითი მართალი კაცები, შრომის მოყვარენი და მდიდარი ოჯახის პატრონები.

რადგან ზოგიერთ აქაურ უფროს ავაზაკებმა ვერ ისარგებლეს მათგან, ამისთვის არ უნდათ, რომ იყოს ამნაირი თავ-აწეული კაცი და შეძლებულიო. „ამნაირად არის, ძიავ, ჩვენი სამართალი.“

მეორე დღეს მე დავბრუნდი ‘ზურგეთს.

‘ეუშინ ერთი იმ დროის გაცნობილი ქობულეთელი ენახე და ეკითხე ‘იორგაძისა და ‘ილოსნის საქმე. ამოოხვრით მითხრა იმან, რომ

„ძიავ, ‘იორგაძის და ‘ილოსნის ამბავს რას მკითხავ და ან ქობულეთისას! წეევიდა, ძიავ, უკულმა ჩურუქსუზი მრთლიე ქობულეთი. ‘იორგაძე და ‘ილოსანი შვილებიანებ დაიჭირეს და ‘ათუმის ხაფსხანაში (სატუსაღოში) გაგზავნის, ესკერი (ჯარი) ოჯახში ჩაუყენეს, მაჰმედ-აღა ‘იორგაძე იმფერი მართალი კაცი იყო, რომ დაჭრული ეხვეწებოდა ჯარის უფროსს:მეზობლები არ შემიწუხოთ“ სანამ ჩემს ოჯახში ხართ, ჩემი ჭამეთ, მჭადი ბევრი მაქ და საკლავი ბევრი მყავსო.“ ძიავ, ღმერთმა იმდენი მოგცეს, იმას რომ ჰქონდა მისი სიმართლით და მუშაობით ნაშოვარი, მარა ქართველიდგან გამიგონია „უსამართლობამ პალიასტიმი დააქცაოო“, ისთვი დაემართა, მარა ეგებ არ გაწყდეს ყველაი და იმის ჯინს კი ამოვა ვინცხაიდგან.

„იგი იგია, ძიავ, და ქობულეთს ეხლა რომ სჭირს, ვალახა არ მომხდარა ჯერე და აწი რაღა მოხდება, რომ გათავდა ქობულეთი; 350 კაცი რედიფი გამოიყვანეს, 200 ბაშიბუზული, 90 ყურა (რეკრუტი) სამასამდი დაჭრულია, ხაფისხანაშიდ ჩაყრილი ირჩობიან, ძაიი, 100 კაცი გაქცეულიც არის, 600 კაცი ოჯახებში გვიდგია სარჩენათ.

„ბრუნდი და მართლის გამრჩევი ვინ არის? ‘ამჩენი თუ მოგვიკითხამს, თვარა გათავდა, ძიავ, მთლათ ისრე გათავდა შენი დუშმანი (მტერი). მართლებს რას ერჩიან? ყველა კაი კაცები იყვენ. ძიავ, სამართალი იგი იქნებოდა, ავი კაცი დაეჭირათ, ჩვენც მოვეხმარებოდით და მაი უპატრონო ქვეყნის მეტს არ დაემართება, გამჩენს დაუჯირე, რაც ახლა ქობულეთს სჭირს. ისე გავს, რომ ჩვენს ბატონს ქობულეთი აღარ უნდა, თვარა ასრე მოსაძულებელი არ იყო ჩურუქსუზი! ჰალაა, ჰალაა,ჰალაა! ‘ველაკაი რომ გამახსენდება, ძიავ, მიკვირს: რა ღმერთი გაგვიწყრა!

„‘ოველთვის კოკა წყალს არ მოიტანსო, ისრე კი დაემართად საწყალ ქობულეთლებს, მაგრამ ეს კი სამწუხარო არის საკმაოზედ ერთობ აღემატა.“

ეს იყო უკანასკნელი გულ-საკლავი სიტყვები ჩემი ქობულეთელი ნაცნობისა....

‘ანაპირის გურული

საინგილო, 3 მკათათვეს. როგორც სხვა ადგილებში, ისეც აქაც მაისში დიდი სიცივეები იყო და ძალიან ავნო ზოგიერთ ხეხილებს და ნათესს. ამის შემდეგ აქ წვიმის წვეთი, ერთი დღის გარდა, არ ჩამოვარდნილა. დადგა გვალვა, რომელმაც არ მისცა ნება ხალხს, რომ ფეტვი დათესნათ; ბრინჯი კი ამ გვალვისაგან სულ გაფუჭდა.

ახლა კი, მადლობა მაღალ ალლახს, ეს სამი დღეა, წვიმა მოდის ზედი-ზედ. მაგრამ პირველ დღეს ამ წვიმასთანვე ისეთი სეტყვა იყო, რომ

მოხუცებული ინგილოები ამბობდნენ: „ამისთანა სეტყვა ჩვენს დღეში არ ყოფილაო.“ ბაღების ნახევარ ყურძენი გაფუჭდა; გაფუჭდა აგრეთვე კიტრი, ხახვი, თუთა და ზოგიერთი სხვა ჭირნახულები, ასე რომ რაც გვალვას გარდარჩა, ისეც სეტყვამ მოანარჩუნა. ინგილოები თავს ანუგეშებენ: „მაღალი ღმერთი გვაძლევს და ისევ სეტყვით, გვალვით გვართმევს, მაგრამ...“

მაგრამ არ იციან, რა ქვა იხალონ თავში მაშინ, როცა ბუნებაზედ უფრო სასტიკად მათ სტანჯავს მათივე კაცი ხალილ-ბეგი. მს ბეგი არის ერთი იმ პირთაგანი, რომელმაც უკანონოდ დაიჭირა ალათემურის მიწა, როგორც არა-ერთხელ იყო ამაზედ მოხსენებული „დროებაში.“ განსაკუთრებით ამ საგანზედ გვექნება ამ მოკლე ხანში ლაპარაკი.

ახლა კი მხოლოდ იმას შეგატყობინებთ, რომ იგი ამ ჟამად ალათემურის მიწაზედ მცხოვრებელ გლეხებს უფრო ცუდად ეპყრობა, კინემ აქამომდე. ალათემურელები იღუპებიან: მომკილი ძნა, რომელიც მხოლოდ გადურჩა ხალხს მაისის სიცივეებისაგან, გვალვისაგან და სეტყვისაგან, ამჟამად მინდვრებში, ამ წვიმაწყალში, ლპება იმ მიზეზის გამო, რომ ხალილ-ბეგმა კიდევ რაღაც დავიდარაბა აუტეხა გლეხებს და ამისთვის ინგილოებს ვერ შეუძლიათ ძნის მინდვრებიდგან გამოტანა. ამის თაობაზედ გლეხებმა ბორსკი უპრავლენიის ნაჩალნიკის სახელზედ დეპეშა გამოგზავნეს ამ დღებში და ეხლა ესენი გულზედ ხელებ დაკეცილები ელიან მის განკარგულებას.

ამ ბეგმა ამ უკანასკნელს დროს ისე გააღატაკა ინგილოები, რომ მათ ხოვრების წრეს წაგავს მათი ჯამაათი. იმიტომაც კიდევ ამ ნაირს ძალლი მუდარით ცხოვრებას ალათემურლები „ნელ-ნელა ტანჯვით და ვაი ვაგლახით სიკვდილს“ — და არა ცხოვრებას — უწოდებენ.

ამ მიწების დავასთან ახლო კავშირი აქვს იმ მკელელობას, რომელიც გასულ დღეებში მოხდა აქ. აი რაში მდგომარეობს ეს შემთხვევა:

28 თიბათვეს ერთმა ნაიბთა მსახურმა კაცმა, ქახის ბაზრის თავში, წაართვა ხანჯალი (იარაღით სიარული აქ ზაქათალის მაზრის ნაჩალნიკისგან აკრძალული არის ხალხისთვინ) ერთს ტყიან სოფელში მცხოვრებ გლეხ-კაცს. ბლეხმა კარგათ იცოდა, რომ უხანჯლოთ ტყეში ვერ წავიდოდა; ბევრჯერ სთხოვა ხანჯალი, მაგრამ ნაიბის მსახურმა არ მისცა; ექვსი შაური ფულიც მისცა გლეხმა; იმან გამოართვა ეს ფული, ხანჯალი კი მაინც არ დაუბრუნა. ბაბრაზიანდა გლეხი, წაველო ხელი და ერთი მყისში დასცა მიწაზედ; ნაიბის კაცმა წაიძრო ხანჯალი და მუცელში ატაკა გლეხს (გლეხისავე ხანჯალი). ბლეხმა ნახა, რომ იგი აღარ ხუმრობს, გაანება მსახურს თავი; ის კი იმწამსვე წამოხტა და უცებ სთხლიშა ხანჯალი მეორეჯერ კლავში და მოსწყვიტა, მესამეთ თავში და დავარდა. კიდეც გლეხი მიწაზე!... ამ კაცის გვამი ორი დღე იმავე ადგილზე ეგდო, საცა მოჰკლეს.

Mიზირელი Iნგილო.

უცხო ქვეყნები

ოსმის ამბავი. წასრულ ნომერში მოყვანილი იყო ამბავი, რომ შესაძლებელიაო, რუმინიაც გაერიოს იმ ბრძოლაში, რომელიც ამ ჟამად ოსმალეთსა და სლავიანურ ქვეყნებს შუა არის, თუ ოსმალეთმა ეს ქვეყანა ხარკისგან არ გაანთავისუფლა და ერთი ნაესადგური არ დაუთმო დუნაის მდინარეზეო. როცა ამნაირ მოთხოვნილობას გაუგზავნიან ერთმანეთს სახელმწიფოები, წინათვე ყოველთვის საომრად ემზადებიან, რომ ვინ-ცობაა, თუ იმან ეს მოთხოვნილება არ შეასრულა, მაშინ ბრძოლისათვის მზათ იყოს.

ბუშინ მოსული დეპეშა კი გვატყობინებს, რომ ზოგიერთს გაზეთებში გავრცელებული ხმაო, რომ ვითომც რუმინია ჯარებს ამზადებსო, სრულებით უსაფუძვლო ხმა არისო. ამასთანავე იწერებიან, რომ რუმინიის სენატმა გამოაცხადაო, რომ რუმინიას მშვიდობიანობა ჰსურსო.

— თვით ომის თაობაზე დეპეშები გვაცნობებენ, რომ ოსმალეთის ჯარები ალექსინაცისაკენ მიდიანო, რომლის სიახლოეს, ამჟამად, უმთავრესი ჯარია სერბიისა.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ამ ქალაქში მოსულა მგვიპტის ხედივისაგან გამოგზავნილი ჯარი, რომელიც ოსმალოს მთავრობამ სლავიანების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გაიგზავნოსო.

—

ოსმალეთი. საშინელი მღელვარებაა თურმე ამ ჟამად სტამბოლში; ყოველ დღე ქრისტიანებსა და ოსმალოებს შუა აყალ-მაყალი და ჩხუბი ხდება და ხშირად სისხლიც იღვრება. მცირე აზიიდამაც ამ გვარ განხეთქილებას იწერებიან ოსმალებსა და ქრისტიანეს შუა.—ბუშინ მოსულ დეპეშამ გვაცნობა, რომ ახალი ხონთქარი მურადი ძალიან ავათ არისო ასე, რომ ექიმები იმის მორჩენას არ მოელიანო.

•

—

ბულგარია. მკითხველს ეხსომება, რომ ფილიპოპოლში და ბოლგარიის ზოგს სხვა ქალაქებში და სოფლებში საშინელი ჟლეტა იყო ამ ერთის თვის წინათ ქრისტიანებისა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ოსმალოს ჯარმა, ბაშიბუზუკებმა და ჩერქეზებმა ათასობით დახოცეს უიარაღო მოხუცებულები დედაკაცები და ყმაწვილები. ახლა იწერებიან, რომ მმართებლობას სტამბოლიდამ ჩინოვნიკი გაუგზავნია ამ გარემოების გამოსაძიებელად და სასტიკად უნდა დასჯონ ის პირები, რომელთაც ამ ხალხის ჟლეტაში მონაწილეობა მიიღესო.

—

ინგლისი. ლორდ დერბის წარმოუთქვამს სიტყვა ზემო პალატაში, რომ რუსეთის იმპერატორი ყოველის ღონის-ძიებით ცდილობსო, რომ მეროპაში მშვიდობიანობა დაიცვასო. შემდეგ ოსმალეთზე იმან სთქვა შემდეგი: „შეიძლება მხოლოთ დაუშალოთ, რომ ეს „ავათმყოფი კაცი“ (ე. ი. ოსმალეთი) ძალათ არ მოჰკლან; მაგრამ ყოველად შეუძლებელია რამე უშველოთ იმას, თუ თვითონ განიზრახავს თავის ნებით თავის მოკვლას ანუ თუ ბუნების კანონების ძალით მოკვდება.“

საგაასო

უფ. იოსებ ჭიჭინაძეს

—

წასრულს „დროების მე-70 ნომერში წავიკითხე უ. იოსებ ჭიჭინაძის პასუხი წინააღმდეგ ჩემის კორრესპონდენციისა ახალ-სენაკიდამ. რადგანაც უ. ჭიჭინაძის გამოწვევა მაძლევს მე შემთხვევას და მიზეზს უფრო დაწვრილებით ავხსნა და ცხადათ დავანახო მკითხველს საზოგადოებას ის გარემოება, რომელზედაც მე წასრულს ჩემს კორრესპოდენციაში მხოლოდ გაკვრით ვსწერდი, ამისთვის, პირველ ყოვლისა, დიდს მადლობას ეუძღვნი უ. ჭიჭინაძეს და იმედი მაქვს, ამითი მარტო არ გათავდება ჩვენი ბაასი, არამედ მომავალშიაც ხშირად გვექნება მე და მას გამოლაპარაკება სხვა-და-სხვა საგნებზე, რომელთაც, მგონი, არა ნაკლე პირველის ჩემის კორრესპონდენციისა გააცხარონ უ. ჭიჭინაძე...

საგანი ჩვენი ბაასისა მდგომარეობს შემდეგს სამს მუხლში:

ა) ჰქონდა ახალ-სენაკს წყლის გამოსაყვანათ ეისმეს შეწირულობით ათასი მანეთი, თუ არა?

ბ) ეს ფულები თავის დროზედ მოთხოვნილი იყო საიდამაც და ვისგანაც ჯერ იყო, თუ არა? და უკანასკნელ

გ) შემდეგ თ. ბ. მხეიძის მიერ სახაზინო სახლის ასაშენებლად აღებისა, მმართავდა უ. ჭიჭინაძე სენაკის უეზდს, თუ არა?

უ. ი. ჭიჭინაძე თავის პასუხში პირველს მუხლს აღვიარებს, იმ განსხვავებით, რომ ათასი მანეთი ბ. მხეიძეს კი არ შეუწირავს, არამედ ხაზინამ შესწირა ახალ-სენაკს წყლის გამოსაყვანათო; წინააღმდეგ მეორის მუხლისა ლაპარაკობს, რომ ვითომც ადგილობრივ ადმინისტრაციის საქმე არ იყო ამ ფულების მოთხოვნა, თუმცა აქავე ტყდება, რომ უეზდის უფროსმა კიდეც მოითხოვა ეს ფულები ხაზინიდამ, მაგრამ ვერ მიიღოვო; ხოლო უკანასკნელ მესამე მუხლზე სრულიად უარსა ჰყოფს. დანარჩენს ნაწილს მისის პასუხისას, რომელიც საქმეს სრულიად არ ეხება, არც მე შევეხები, მით უმეტესად, რომ თვით რედაქციას მიუცია თავის შენიშვნაში შესაფერი პასუხი; მე მხოლოდ მსურს დავამტკიცო: ამ საქმეში მე ეტყუვი, თუ უ. ჭიჭინაძე.

ვინც გულ-დადებით წაიკითხავს უ ჭიჭინაძის პასუხს და მასთან ყურადღებას მიაქცევს ქვემო-მოყვანილს გარემოებას, ის სრულიად დარწმუნდება, რომ დაბა ახალ-სენაკს ათასი მანეთი ჰქონდა წყლის გამოსაყვანათ და ეს ფულები დაეკარგა, თავის დროზე მოუთხოვნილობისაგამო ხაზინიდან.

მთავრობის განკარგულებით, უნდა აშენებულიყო ახალ-სენაკში სახაზინო სახლი და ამისთვის გადადებული იყო ხაზინიდან 7,400 მანეთი. ამ შენობის აღების სურვილი განაცხადა სენაკში მყოფმა არხიტექტორმა უ. რაისმა და კიდეც ის-ის იყო აძლევდენ, მაგრამ ამ უკანასკნელს დაემუშტრა თ. ბრ. მხეიძე, რადგანაც ეს უკანასკნელი აქაური მებატონე იყო და შენობისათვის საჭირო მასალები თითქმის მუქთი ჰქონდა თავის მამულში; რასაკვირველია, 6,000 მანეთადაც რომ აეღო ამ შენობის გაკეთება, მაინც მოიგებდა; ამისათვის შეიტანა განცხადება მთავრობასთან, რომ ის მსურველია სახაზინო სახლის აშენება მიიღოს თავის თავზე 6,400 მანეთად, იმ პირობით, რომ დანარჩენი ათასი მანეთი მიქცეულ იქმნას დ. ახალ-სენაკის სასარგებლოდ, საკუთრად წყლის გამოსაყვანად.

რადგან მთავრობიდგან 7,400 მანეთი იყო ამ საჭიროებისათვის გარდადებული, რომლისაგან ათასი მანეთი ქალაქს რჩებოდა წყლის გამოსაყვანათ და სახაზინო სახლიც თავის პლანზე აშენდებოდა, რასაკვირველია, მთავრობამ თ. მხეიძეს შეუკრა კონტრაქტი ამ შენობის გაკეთების შესახებ.

მაგრამ სანამ მხეიძე ამ შენობას შეასრულებდა, გარდაიცვალა, და შენობა კი მისი მემკვიდრების აპეკამ შეასრულა და ფულიც მიიღო ხაზინიდან, ესე იგი 6,400 მანეთი, რომელიც მას ერგებოდა. ხოლო ათასი მანეთი, რომელზედაც მხეიძეს განცხადება ჰქონდა შეტანილი სასამართლოში, რომლის ძალით და მთავრობის დათანხმებით ქალაქს ეკუთვნოდა, უნდა მიეღო ხაზინიდან უეზდის ადმინისტრაციას, იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელის პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენს ქალაქის ქონების გამგეობა და მაზედ მზრუნველობა იმ ადგილებში, სადაც ქალაქის თვით-გამგეობა არ არის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უეზდის სასამართლომ ეს ფულები თავის დროზე ვერ მოითხოვა და მისგამო დაეკარგა ქალაქს.

რომ ეს ჩემგან ზემომოყვანილი გარემოება ნამდვილია მის დასამტკიცებლად მე ურჩევ უ. ჭიჭინაძეს, თუ სამძიმოთ არ დაურჩება, წაიკითხოს ამ საგანზედ მიწერ-მოწერა და აგრეთვე მხეიძის განცხადება, რომელიც, უეჭველია, საქმეში უნდა იყოს. (Строительное отдѣленіе Кут. Губ. Правленія).

რაიცა შეხება იმას, რომ უ. ჭიჭინაძე, შემდეგ თ. ბ. მხეიძის მიერ სახაზინო სახლის აშენების აღებისა, ხანგრძლივ მმართვიდა სენაკის უეზდს, რომელზედაც ის უარსა ჰყოფს

თავის პასუხში, ეს დამტკიცდება თვით უეზდის სასამართლოს საქმეებიდან.

დასასრულ ნება მომეცით, ერთი კითხვა მოგცეთ უ. ჭიჭინაძე: თქვენ ბრძანებთ თქვენს პასუხი, რომ ეს ათასი მანეთი მთავრობამ ქალაქის საჭიროებისათვის გარდაარჩინაო და შემდეგ უეზდის უფროსმა, თუმცა მოითხვაო, მაგრამ ხაზინამ უარი უთხრაო. თუნდაც ეს ასეც იყოს, თუ კი მთავრობამ ქალაქს ფული აჩუქა, ალბათ ქალაქის საკუთრება ჰყოფილა, და მერე რა იყო მიზეზი, რომ ვერ მიიღეთ? რას ბძანებთ ამაზედ? ცხადია, რომ დროზე არ მოითხოვეთ და ასიგნოვკა დაიხარა და შემდეგ, რასაკვირველია, უარს გეტყოდნენ. მე მაკვირვებს, რომ თქვენ უარსა ჰყოფთ ისეთ ფაქტებზე, რომელნიცა თქვენ თვალწინ გაქვთ, თუ კი წაკითხვასა და გარდათვალიერებას არ დაიზარებთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თქვენ, ჩემის ჰაზრით, არა გაქვსთ არავითარი ზნეობითი სიმართლე, მიიღოთ საწყენათ დაუდეგნელობაში და უსაქმობაში გამტყუვნება თქვენი ვისმესაგან.

N.

ნარევი

ამ ოსმალებთან ბრძოლაში სლავიანების ქალებიც კი იღებენ მონაწილეობას; უცხოქვეყნის გაზეთებში მოყვანილია, რომ ერთმა ბოლგარიელმა ქალმა 300 კაცი მოაგროვაო და იმათ უწინამძღვრებს ლაშქარშიო.

* * *

მეორე ბოლგარიელი ქალის ამბავი კიდევ უფრო შესანიშნავია: ბაშიბუზუკები დასცემიან თავს იმ სოფელს, რომელშიაც ეს ქალი იდგა. მთელი სოფელი გაანათდგურეს. დარჩა მხოლოთ ამ ქალის სახლი. ქალმა შეიკეტა სახლის კარები, აიღო თოფი და ოსმალები რომ მიადგნენ, ექვსი იმათგანი მოჰკლა. ბოლოს, როცა თოფის წამალი გამოელია, წაუკიდა სახლს ცეცხლი და თვითონაც შიგ გამოიწვა. ამნაირად სიკვდილი არჩია, ვიდრემ ოსმალების ხელში ჩავარდნას.

* * *

რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ მმართველობის განკარგულებით პეტერბურგის გაზეთი — „პეტერბურგის ტელეგრაფი“ აღუკრძალავთ.

* * *

სპარსეთის თბილისელი კონსული იწერება „თბილისის მოამბეში,“ რომ ქალაქში გავრცელდა ხმაო, ვითომც ადერბეიჯანში (სპარსეთში) ქამი გაჩენილიყოს. ეს ხმა უსაფუძვლო ხმა არისო.

განცხადებანი

კერძო ემეს-კლასიანი რეალური სასწავლებელი

კომერციულის განყოფილებით

აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები წელს დაიწყება 16 აგვისტოდამ და თვითონ სწავლა კი 1 ენკენისთვიდამ.

სასწავლებელში მესამე კლასი იხსნება.

ამ სასწავლებლის კურსი სახელმწიფო რეალურ სასწავლებელთა კურსს უდრის.

უფრო დაწერილებულ ცნობებისათვის მსურველს შეუძლია მიმართოს თვითონ სასწავლებელში, რომელიც იმყოფება:

სოლოლაკზე, სადგოის ქუჩაზე, ვილიამინოვის ქუჩის პირ-და-პირ, შადინოვის სახლებში, № 34.

ი. მელიქ-ბეგლიაროვი
ბ. თავაქალოვი

(3—1)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის ჯუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იცეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამოგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—46

საუკეთესო საშუალება

ბუგების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

... ris Gutmann, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამოგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

ფასი-ტარიფი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

უმთავრესი დეპოზარის თფილისში, დეორეოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში. სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში — ქურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—25

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

სამშობიარო ლოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათი დამ $9\frac{1}{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9\frac{1}{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	1	68	1	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51		.	3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ. .	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 6 ივლისს

	მან.	კაპ
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი (პირველისესხი)	203	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	201	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 10 ივლისს		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
— ამერიკისა, ფუთი. .	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
— თარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	10
— ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	6	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюля 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.